პოემა-ჩაღატარ

რაც უხდა ვიყო მართლა მორჩილი,
ერთი ხმა მეც მაქვს – მომეცით სიტყვა:
არ მინდა ვიყო მე მონოზანი,
თუ მოგონება სირცხვილით მირტყამს.
ჩემო ტფილისო, როცა ვიგონებ,
რომ გალეწიეს ბავშვების კალო,
მეც მინდა ტანჯვა გავიზიარო,
მეც მინდა ცემით რომ დავიღალო.
მსურს სიკვდილამდე რომ ვინმემ მირტყას,
ჩემი საწილო მომეცით სიტყვა!...
სულ რაღაც ათი გავიდა წელი,
სულ რამდენჯერმე მობრუნდა მთვარე:
რაც დასტიროდა მტკვარს ალექსანდრე
და მთებს შამილის სული მშფოთვარე.
ვიღაცა დადის ხმალამოწვდილი,
ვიღაც დაჰყეფავს ცოფით დარიალს.
კელაპტარივით დგას მთა მყინვარის,
მტკვარი ქამების ისმენს დაირას.
ვიცი, არ მაქვს ხმა მრისხანე ლომის,
ვიცი, არ მაქვს ხმა მწივან არწივის,
დასაკლავ ხბოს ხმით მინდა ვიბღავლო,
რომ ეშაფოტზე მეც დამარწიეს.
და ხდება სული აღა– მაჰმად– ხანს,
ტფილისს რომ სცემდა მრისხანე ტორებს
მეც გამაყოლეთ კრწანისის გმირებს,
მარაბდის ვაჟკაც გლადიატორებს.
რა შეედრება პოეტის სახელს=
გმირის სახელი უფრო მეტია,
მიყვარს ქართული მიწა მართალი
რაც ვაჟკაცებით მინახვეტია...
ამ საშინელ და უიღბლო ღამეს
მე მრჩება მხოლოდ ერთი ანდერძი:
რომ არ ამოშრეს ხალხში ნაღველი
ბატონიშვილის ალექსანდრესი.
და როგორც ერთი ურჩი მÁურიდი,
ვფიცავ საყვარელ ვაჟკაცთა წვერებს,
შამილის ფაფარს და თეთრ ჭაღარას,
ალექსანდრეს წვერს დროშათ ნაკერებს,
რომ მე დავტოვებ პოეტის სახელს,

თუ ვაჟკაცობას შენთვის ვერ ვამხელ...

1946 წ. ნოემბერი,

ქ. ტიფლისი.